

ოჩი უჩაზიდეხტი ღა სანხადლო სანჰო ნაზიხით შინ ღა შკან დამოკრახტიისკან

რევამ ქოიავა

შესავალი

„ქართველი ხალხი არასდროს შეგუებია თავისუფლების დაკარგვას“ (ხმა ერისა 1995, 80) – განაცხადა ზვიად გამსახურდიამ 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესიაზე. სესიის დღის წესრიგში საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი იდგა. ზვიად გამსახურდიამ, რომლის მეთაურობითაც 1990 წლის ოქტომბრიდან მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო უზენაეს საბჭოს აკონტროლებდა, ტრიბუნიდან ისაუბრა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციაზე, 1924 წლის აჯანყებაზე, 1989 წლის 9 აპრილის სისხლიან ტრაგედიაზე და 1990 წლის მარტის რეფერენდუმზე, რომელშიც, ოფიციალური მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის 91%-მა დამოუკიდებლობას დაუჭირა მხარი (ხმა ერისა 1995 80). გამსახურდია მოსახლეობას დაჰპირდა, რომ დამოუკიდებელი საქართველო დემოკრატიული სახელმწიფო იქნებოდა: „საქართველოს რესპუბლიკა ისწრაფვის რა, დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, აღიარებს და თანაბრად უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ადამიანის, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების ყველა უფლებას და თავისუფლებას, როგორც ამას მოითხოვს გაერთიანებული ერების წესდება...“ (ხმა ერისა 1995, 82-89)

დღეს, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 25 წლის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლება ვერ აკონტროლებს საკუთარ ტერიტორიებს და საკუთარ მოქალაქეებს, ვერც ეკონომიკური უსაფრთხოებით უზრუნველყოფს. გარკვეული მიღწევების მიუხედავად, მაინც ვერ მოხერხდა ეფექტური დემოკრატიული პროცესების განვითარება, რომელშიც მოსახლეობის ფართო მასების ჩართულობა იქნებოდა უზრუნველყოფილი.

საქართველო დღესაც იმ ფუნდამენტური გამოწვევების წინაშე დგას, რომელიც დასავლეთში დავინწყებულა. ქართულ პოლიტიკურ ელიტას სასწრაფოდ უნდა შეექმნა სუვერენული სახელმწიფოებრიობის ორგანოები, უნდა ჩამოეყალიბებინა ეროვნული იდენტობა, რომელიც თავის თავში გააერთიანებდა არაეთნიკურ ქართველებს, ჩაენაცვლებინა ცენტრალიზებული გეგმიური ეკონომიკა კონკურენტუნარიანი ბაზრით, დაეარსებინა დემოკრატიული ინსტიტუტები და გაეტარებინა ეფექტური საგარეო პოლიტიკა. ამ ყველაფერის გაკეთებას კი საქართველო გამოცდილი კადრების, შესაფერისი ინსტიტუტების, ქმედითი აღმასრულებელი ხელისუფლებისა და საჭირო ფინანსური სახსრების გარეშე ცდილობდა. უკრაინული წარმოშობის ამერიკელი პოლიტოლოგის ალექსანდრ მოტილის სიტყვებით, რევოლუციური ცვლილებების მსურველი პოლიტიკური ელიტა განსაკუთრებულად კარგად უნდა იყოს მატერიალურად უზრუნველყოფილი (Motył 1999, 32). პოსტტოტალიტარულ მდგომარეობაში მოხვედრილ პოსტსაბჭოთა ქართულ ელიტასა და საქართველოს საზოგადოებას კი არც ფსიქოლოგიური და არც მატერიალური რესურსები არ გააჩნდათ

რევოლუციური ცვლილებებისთვის. რევოლუციური ცვლილებები, ანუ ქვეყნის ტრანსფორმაცია, მისი „გასახელმწიფოებრიობა“ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად დაიწყო და ჯერაც არ დამთავრებულა. ეს პროცესი ტალღისებურია და იგი იმ ეტაპებად შეიძლება დაიყოს, რომლებიც გარკვეულწილად ხელისუფლებათა ცვლილებების პერიოდებს ემთხვევა.

წინამდებარე სტატია საქართველოს ისტორიის ამ დრამატული ფურცლების ნაწილს ეძღვნება, კერძოდ კი პერიოდს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ვარდების რევოლუციამდე. იგი პირობითად მმართველობის სამ პერიოდად არის დაყოფილი. 1991-2003 წლებში საქართველოში იყო ორი პრეზიდენტის მმართველობა და მათ შორის არსებული გარდამავალი პერიოდი. ამ პერიოდის გარკვეულ მიღწევებს მნიშვნელოვანი ჩავარდნებიც მოსდევს და აქედან გამომდინარეობს სტატიის სათაურიც. აღნიშნულ ტექსტში ჩვენი ერთ-ერთი მიზანი საზოგადოებრივი პოლიტიკის აღწერა გახლავთ. ყოველი საბჭოთა რესპუბლიკების სრულიად განსხვავებული გეოგრაფიის, ისტორიის, პოლიტიკური კულტურის, ეკონომიკური მდგომარეობისა და ხელმძღვანელობის განსხვავებული სტილის გამო, ამ ქვეყნების გარდამავალ პერიოდებს ერთმანეთთან საერთო თითქმის აღარაფერი აქვთ. მიუხედავად მათი საერთო პრობლემებისა, ადგილობრივი პირობებისა და გარემოებების გამო, შედეგები სპეციფიკურია. საქართველოში გატარებული რეფორმის დეკლარირებული მიზანი სტაბილური და წარმატებული დემოკრატიის შექმნაა. მაგრამ როგორ ესმით ქართველებს დემოკრატია და როგორ ავითარებს მას სამთავრობო პოლიტიკა? საქართველოს სასამართლო, აღმასრულებელი, ადმინისტრაციული და საკანონმდებლო ორგანოების ფუნქციონირებაზე პასუხების ძიებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ქართველთა სოციალური და ინტელექტუალური არაერთგვაროვნება. ქართული პოლიტიკის ბირთვის – არაფორმალური ჯგუფების გარიგებების, ელიტების განწყობების, თაობათა განმასხვავებელი ნიშან-თვისებებისა და მოქალაქეთა ყოველდღიური საზრუნავის ანალიზი ძნელად თუ იძლევა განზოგადების საშუალებას. საქართველოს პოლიტიკურ კულტურას, საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ადგილობრივ მმართველობას, დასაქმების პრობლემებს, ანუ პოლიტიკური ცხოვრების ყოველდღიურობას ქართული ელიტის გროტესკული ქცევა და სამოქალაქო ომი, სეპარატიზმი და რუსეთის ინტერვენცია განსაზღვრავდა. ამას კი მივყავართ ტიპ ოწილის მაქსიმამდე, რომ „ყველანაირი პოლიტიკა ადგილობრივია“.

სტატიისათვის ასევე აქტუალურია ტრანზიციამდე/გარდამავალ პერიოდზე, პოსტკოლონიალიზმზე, რევოლუციებზე, ნაციონალიზმზე, პოპულიზმსა და დემოკრატიის მშენებლობაზე არსებული თეორიული მიგნებების დაკავშირება საქართველოს გამოცდილებასთან. სტატიას არ გააჩნია რამე განსაკუთრებული სახის ახსნა-განმარტებითი ჩარჩო. თეორიას ინტერპრეტაციაზე ყურადღების მისაპყრობად ვიყენებ და არა ამა თუ იმ თეორიული მოდელის არსებობის დასამტკიცებლად. ჩემი მეთოდოლოგია კი ინტერვიუს და დოკუმენტურ მასალას ეფუძნება.

სტატიის მთავარი მიზანი არის იმ პოლიტიკური დაპირისპირებების და რადიკალიზმის განხილვა, რომელიც 1991-2003 წლებში საქართველოში იყო გაბატონებული. ზვიად გამსახურდიას, ინტერ-რეგნუმის და ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებები თავის რიტორიკაში, და ხანდახან ქმედებებშიც, წინა ხელისუფლების წარმომადგენლების და სისტემების წინააღმდეგ სწორედ საბჭოთა კავშირში შექმნილი პარადიგმებით ხელმძღვანელობდნენ. ყოველი ახალი ხელისუფლებისათვის, ზეპირი ისტორიების დონეზე, უბრალოდ არ იყო ცნობილი ცვლილების სხვა გზა – თუ არა წინა ხელისუფლების და მათი მხარდამჭერების მაქსიმალური მორალური და ფიზიკური რეპრესია.

გამსახურდია

1987 წლის იანვარში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მიხეილ გორბაჩოვმა „პერესტროიკის“ პოლიტიკის დაწყების შესახებ განაცხადა, რაც ეკონომიკის ლიბერალიზაციასა და პოლიტიკურ რეფორმებში გამოიხატა. პრესის თავისუფლება, ეკონომიკის ლიბერალიზაცია და მიწის იჯარით სარგებლობის უფლებები, საკადრო ცვლილებები და პოლიტიკური სისტემის რეფორმა, ცივი ომის დასასრული და დასავლეთთან ურთიერთობის დათბობა, საბჭოთა ჯარების ავღანეთის ტერიტორიიდან გამოყვანა იყო გორბაჩოვის მიერ გადადგმული ძირითადი ნაბიჯები. მიხეილ გორბაჩოვის პოლიტიკა ნაციონალურ საკითხთან მიმართებაში წინააღმდეგობრივი იყო. ერთი მხრივ გამოცხადებული საჯაროობის პოლიტიკა საკავშირო რესპუბლიკების ეროვნული მოძრაობებისთვის იმპულსი გახდა წამოეწყო ღია ბრძოლა რეალური სუვერენიტეტის მოსაპოვებლად, მაგრამ მეორე მხრივ 1988 წლის ნოემბერში კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა დაიგეგმა, რომლის მიხედვითაც რესპუბლიკებს ეკრძალებოდათ კავშირიდან გასვლის გადაწყვეტილების მიღება ადგილობრივ დონეზე. ამ ცვლილების თანახმად, აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების უფლება მხოლოდ საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა საბჭოს ენიჭებოდა. გორბაჩოვი საბჭოთა კავშირის დემოკრატიულ გარდაქმნას ისახავდა მიზნად, მაგრამ მის გეგმებში არ შედიოდა კავშირში შემავალი ქვეყნების ნაციონალური თვითგამორკვევა.

1987 წლის ზაფხულიდან საბჭოთა რეჟიმი საქართველოში ახალი გამოწვევის წინაშე დადგა. საქართველოს მოქალაქეების აქტიურმა ნაწილმა დაიწყო გორბაჩოვისეული გარდაქმნის შესაძლებლობებით სარგებლობა. საწყის ეტაპზე, ეს, პირველ რიგში კულტურული მემკვიდრეობის და გარემოს დაცვითი საკითხებით საჯარო დაინტერესებაში გამოვლინდა. ჯერ კიდევ 1970-იანი წლებიდან მოყოლებული ქართველი დისიდენტები ამხვილებდნენ ყურადღებას ეროვნული მემკვიდრეობის ძეგლების გარშემო შექმნილ პრობლემებზე. ქართველი აქტივისტების მასობრივი პროტესტი „საუკუნის მშენებლობად“ მონათლულმა კავკასიის სამთო რკინიგზამაც გამოიწვია. რკინიგზას პირდაპირი გზით უნდა დაეკავშირებინა მოსკოვი საქართველოსთან და გადაეკვეთა დიდი კავკასიონის ქედი 11 გვირაბით, 15 დერეფნით და 85 ხიდით. რკინიგზის საწინააღმდეგო კამპანიაში მონაწილეობას იღებდნენ ქართველი ინტელექტუალები – ისტორიული, კულტურული და ბუნების ძეგლთა დაცვის საზოგადოება, რუსთაველის საზოგადოების ეკოლოგიური ასოციაცია და პირველი არაოფიციალური გარემოსდაცვითი ჯგუფი – კავკასიის კლუბი. საბოლოოდ საქართველოს კომპარტიამ მშენებლობა შეაჩერა, თუმცა კი აღშფოთებულმა ჯუმბერ პატიაშვილმა¹ გარემოსდამცველი აქტივისტები „ხალხის მტრებად“ შერაცხა (მჭედლიძე 1999, 127).

რკინიგზის საწინააღმდეგო კამპანიის წარმატებას სხვა გარემოსდაცვითი აქციების გააქტიურება მოჰყვა. კრიტიკა შეეხო სვანეთში ჰუდონის ელექტროსადგურისა და არაგვის ხეობაში გაზსადენის მშენებლობას.

ამ ფონზე კი ძალას იკრებდა ქართული ნაციონალისტური მოძრაობა². ქართველი დისიდენტებისთვის უმნიშვნელოვანესი მომენტი იყო 1987 წლის 1 დეკემბერი, როდესაც

1 საქართველოს კომპარტიის პირველი მდივანი 1985-1989 წწ.

2 ნაციონალისტურ მოძრაობაში ვგულისხმობ პოლიტიკური დამოუკიდებლობის იდეას. ამ სოციოლოგიურ ტერმინში რაიმე მორალური კონოტაციას არ ვდებ.

„ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ“ დამფუძნებელი კრება გამართა. პოლიტიკური ორგანიზაციის საბოლოოდ ფორმალიზაცია 1988 წლის ნოემბერში, მის პირველ ყრილობაზე მოხდა. ჭავჭავაძის საზოგადოება ქართული ეროვნული მოძრაობის პოლიტიკურ ცენტრად გადაიქცა. იგი შეიქმნა ყოფილმა დისიდენტმა, მათ შორის ზურაბ ჭავჭავაძემ და ათწლიანი გადასახლებიდან დაბრუნებულმა მერაბ კოსტავამ დააარსეს. საზოგადოების უმთავრესი მიზანი საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვება და დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმირება იყო. იგი პირველი მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო კომუნისტური პარტიის პოლიტიკური მონოპოლიისთვის.

ამავე ეტაპზე თანდათანობით გამოიკვეთა ეროვნული მოძრაობის მასიფიკაციის ტენდენცია. მასში შემაგალი ორგანიზაციების წევრთა რიცხვი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. დაიწყო მანიფესტაციებისა და მასობრივი მიტინგების ფაზა. ეროვნული მოძრაობის ეს ეტაპი განაპირობებდა მისი სოციალური ბაზის გაფართოებას, ეროვნული იდეის მასობრიობას. ამავდროულად ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა მოახერხეს მოსახლეობის დარაზმვა საერთო-ეროვნული პრობლემების გადასაჭრელად. 1988 წელს ჩატარდა ოცდათვრამეტი მიტინგი და დემონსტრაცია, რომელთაგან მხოლოდ ოთხი იყო ოფიციალურად დაშვებული (მჭედლიძე 1999, 148).

1988 წლის მიტინგების უმაღლესი წერტილი იყო ნოემბრის დემონსტრაციები. 12 ნოემბერს იპოდრომის მიდამოებში გამართული მრავალათასიანი მანიფესტაციაზე ოფიციალურად პირველად დაფიქსირდა ეროვნული მოძრაობის უმთავრესი პოლიტიკური მოთხოვნა – საქართველოს დამოუკიდებლობა. იმავე წლის 12-28 ნოემბერს მთავრობის სასახლესთან გაიმართა ეროვნული მოძრაობის დიდი დემონსტრაცია ანტისაბჭოთა ლოზუნგებით, რომელსაც შედეგად პირველი წარმატება მოჰყვა. იმპერიამ უარი თქვა იმ საკონსტიტუციო ცვლილებებზე, რომელთა თანახმადაც საბჭოთა კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკების გასვლის საკითხს საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა წყვეტდა. თუმცა აუცილებელია აღინიშნოს, რომ ამ გადაწყვეტილებაზე საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში მიმდინარე პროცესებმაც მოახდინეს გავლენა.

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა სიტუაციის დასაშოშმინებლად. 1988 წლის მარტში უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაუშვა შეზღუდული საზოგადოებრივი დემონსტრაციები, ხოლო თბილისის საქალაქო საბჭომ საზოგადოებრივი მიტინგები იპოდრომის ტერიტორიაზე. საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის თანამდებობაზე აირჩიეს კომუნისტურ ნომენკლატურასთან დაპირისპირებული პოეტი მუხრან მაჭავარიანი (მაჭავარიანი 1989, 758-759).

კომუნისტურმა პარტიამ მოსახლეობის დასაშოშმინებლად ეროვნული კურსის გაძლიერება გადაწყვიტა. 1988 წლის ნოემბერში გამოქვეყნდა „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა“, რომელმაც სახელმწიფო და კულტურულ დაწესებულებათა გაქართულების განრიგი წარმოადგინა (კომუნისტი 1988, 2-3). შეიქმნა 1930-იან და 1940-იან წლებში რეპრესირებულ პირთა რეაბილიტაციის კომისია. 1989 წლის თებერვალში გამოქვეყნდა პროგრამები, რომლებიც ისტორიული ძეგლების დაცვას და საქართველოს ისტორიის მხარდაჭერას ეხებოდა (საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები 1989, 9). პრესა განიხილავდა ტაბუდადებულ თემებს: წითელი არმიის საქართველოში შემოჭრას, 1924 წლის ანტიბოლშევიკურ ნაციონალისტურ აჯანყებას, კორუფციის, სისხლის სამართლის დანაშაულის და ნარკომანიის პრობლემებს.

მიტინგების მონაწილეთა და საბჭოთა მილიციის არცთუ იშვიათმა დაპირისპირებებმა და 1989 წლის მარტის სსრკ სახალხო დეპუტატთა ყრილობის არჩევნების გაყალბებამ კომუნისტური პარტიის დისკრედიტაცია გააღრმავა. რაიონების სამოც პროცენტში მხოლოდ ერთი კანდიდატი იყო წარმოდგენილი. შედეგად საბჭოში 61 პარტიული კანდიდატი მოხვდა ათი არაპარტიული კანდიდატის წინააღმდეგ (კომუნისტი 1989, 1). ხოლო ერთი თვის თავზე 1989 წლის 9 აპრილს საქართველოში მოხდა ტრაგედია, რომელმაც კომუნისტური მმართველობა ფაქტობრივად დაასრულა.

კომუნისტური რეჟიმის დასუსტებამ საქართველოში დამოუკიდებელი ორგანიზაციების ჩამოყალიბება წაახალისა. შედეგად 1990 წელს სულ მცირე 130 პარტია, ბლოკი თუ საზოგადოება არსებობდა. ყველა მათგანი, იშვიათი გამონაკლისების გარდა, საქართველოს დამოუკიდებლობას, დემოკრატიულ წყობას, საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს და სახელმწიფოში ეთნიკური ქართველების დომინანტურ როლს ემხრობოდა. ამ პერიოდს სამი ნიშანი ახასიათებდა: კომუნისტური პარტიის დაშლა, ახალ პარტიებსა და პერსონალიებს შორის ძალადობის ზრდა და შიდაეთნიკური კონფლიქტების პირველი ნიშნები.

პარტიების ხედვებს შორის იყო განსხვავებები სხვადასხვა საკითხთან მიმართებაში. რუსთაველის საზოგადოება, რომელშიც ძირითადად ინტელიგენცია შედიოდა, პოლიტიკურ დამოუკიდებლობასთან შედარებით, ეკონომიკურ დამოუკიდებლობას უჭერდა მხარს. მწვანეთა პარტია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის აქტიურ თანამშრომლობას ემხრობოდა. სახალხო ფრონტი, ნოდარ ნათაძის ხელმძღვანელობით, ეწინააღმდეგებოდა საბაზრო ეკონომიკაზე სწრაფ გადასვლას, რადგან თვლიდა, რომ საქართველოს ბუნებრივ რესურსებს უცხოური კომპანიები დაიტაცებდნენ (სახალხო ფრონტის პარტიული პროგრამის მიმეოგრაფი 1990). ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მხარს უჭერდა ეკლესიის როლის ზრდას. მათი აზრით, ეკლესიას უნდა ეთამაშა ერის ზნეობრივ განვითარებაში წამყვანი როლი (საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტია 1992). პარტიებს განსხვავებული პოზიციები ეჭირათ ისეთ ტაქტიკურ საკითხებთან მიმართებაში, როგორცაა არჩევნები, კომუნისტური პარტიის როლი, პირდაპირი მოქმედება, დამოუკიდებლობის მოპოვების დრო და კავკასიის რეგიონული თანამშრომლობა.

პიროვნული და პარტიული დაპირისპირება, ასევე პოლიტიკური პარტიების სტრუქტურა (მათი უმრავლესობა ძლიერ ლიდერზე გამყარებული შინაგანად ავტორიტარული პარტია იყო) ქართულ პოლიტიკაში ცილისწამების დანერგვას იწვევდა. პოლიტიკურად აქტიური პიროვნებები ერთმანეთს ბრალს დებდნენ სუკ-ის აგენტობაში და სამშობლოს ღალატში. ლიდერების უმრავლესობამ მემკვიდრეობით მიიღო დირექტივების გაცემისა და ცილისწამების საბჭოური ჩვევა. ჩვეულებრივ ამბად იქცა შიმშილობები. პარტიები გამოირჩეოდნენ კონფრონტაციულობით. მათი უმრავლესობა პრეტენზიას აცხადებდა ხალხის ერთადერთი წარმომადგენლის სახელზე და ჭეშმარიტების მონოპოლიაზე. სოციალური დასაყრდენისა და თავიანთ მომხრეებთან კონტაქტის არარსებობის პირობებში ხმამაღალი ლოზუნგების გამოყენება მოსახლეობის მობილიზების ერთადერთი საშუალება იყო. პარტიებს შორის ურთიერთობა საბჭოთა პოლიტიკური ტრადიციიდან გამომდინარეობდა, რომელიც აბსოლუტიზმზე, შეუცდომლობაზე, ბრძოლასა და თავდადებაზე აკეთებდა აქცენტს. ეს კი იწვევდა ორ ბანაკად გაყოფას, სადაც ერთ მხარეს იდგა სწორი, ჭეშმარიტი, ხოლო მეორე მხარეს მცდარი და ყალბი (ჯონსი 2013, 54-55).

ყველაზე რადიკალურად განწყობილებს, როგორებიც იყვნენ ირაკლი წერეთელი და გია ჭანტურია, „შეუჩინებლებს“ უწოდებდნენ. ისინი იყენებდნენ ემოციურ ტერმინოლოგიას („ქვეყნის მოლაღატეები“) და ემუქრებოდნენ მედიას, რაც საბჭოთა ტრადიცია იყო. განსაკუთრებით გამწვავდა დაპირისპირება გამსახურდიასა და ჭანტურიას შორის. გია ჭანტურია მოითხოვდა წარსულთან კავშირის გაწყვეტას, ხოლო გამსახურდიას მომხრეები ითხოვდნენ „გარდამავალ პერიოდს“ უკვე არსებული ინსტიტუციური მექანიზმებით. მათი მიზნები არსებითად ერთნაირი იყო – ტრადიციული და რელიგიური ფასეულობების განმტკიცება, კომუნისტური აღმოფხვრა და საბჭოთა იმპერიის დანგრევა. დაპირისპირების მიზეზს ტაქტიკა და სტრატეგია წარმოადგენდა (საბჭოთა პრესის მიმდინარე დაიჯესტი 1990, 102).

1990 წლის მარტში რადიკალებმა ოპოზიციური პარტიებისგან შექმნეს ეროვნული ფორუმი. ფორუმმა 1990 წლის მარტის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ბოიკოტირება მოითხოვა. საბოლოოდ საქართველოს კომუნისტური პარტია იძულებული გახდა, არჩევნები ოქტომბერში გადაეტანა. ეროვნული ფორუმი საქართველოს დამოუკიდებლობას, არაქართულ რეგიონებში ეთნიკური ქართველების წილის გაზრდას და ეროვნული ყრილობის ალტერნატიული არჩევნების ჩატარებას მოითხოვდა (ფულერი 1989, 22-25). მათ ზომიერი პარტიები – სახალხო ფრონტი, რესპუბლიკური პარტია, ლიბერალ-დემოკრატიული პარტია და სოციალ-დემოკრატიული პარტია ეწინააღმდეგებოდნენ, რომელთა აზრითაც ხელისუფლების ორგანოების ბოიკოტი მოსკოვის აგრესიულ რეაქციას გამოიწვევდა (საბჭოთა პრესის მიმდინარე დაიჯესტი 1990, 111).

საბოლოოდ რადიკალებმა გაიმარჯვეს (კომუნისტი 1990, 4). თუმცა მათ შორის დაპირისპირება არ შეჩერებულა. ზვიად გამსახურდიასა და გია ჭანტურიას შორის კონფლიქტი აპრილში მათი მხარდამჭერების მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის გარე პერიმეტრზე სროლაში გადაიზარდა. შედეგად, გამსახურდიას ჰელსინკის კავშირმა ეროვნული ფორუმი დატოვა და ახალი დაჯგუფება „მრგვალი მაგიდა“ ჩამოაყალიბა. მას მონარქისტების ნაწილი, წმინდა ილია მართლის საზოგადოება და მერაბ კოსტავას საზოგადოება შეუერთდნენ. მრგვალმა მაგიდამ არჩევნებში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა. საპასუხოდ ეროვნულმა ყრილობამ ალტერნატიული ეროვნული კონგრესის არჩევნები სექტემბერში დანიშნა. კონგრესს უფლება ექნებოდა, ჩაეტარებინა რეფერენდუმები, წარმოედგინა კანონპროექტები საქართველოს მომავალი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების შესახებ და მოსკოვთან ეწარმოებინა მოლაპარაკებები. თუმცა ყრილობაში „მრგვალი მაგიდის“ რუსთაველის საზოგადოების და სახალხო ფრონტის არყოფნამ მისი პრეტენზია – ქართული ხალხის ნების გამომხატველი ყოფილიყო, შეარყია.

ამ ვითარებაში 1990 წლის შემოდგომაზე საქართველოში ორი არჩევნები გაიმართა. 30 სექტემბერს შედგა ეროვნული ყრილობის არაოფიციალური არჩევნები, რომელშიც ექვსი ბლოკი ორმოცი პარტიის შემადგენლობით მონაწილეობდა. ყრილობის მონაწილეებმა არსებული საკანონმდებლო და საარჩევნო ჩარჩო უარყვეს. ყრილობაზე ეროვნულ-დემოკრატიული და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიები დომინირებდნენ. მათ საბჭოთა ჯარების საქართველოდან დაუყოვნებლივი გასვლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გადაწყვეტილება მიიღეს. ეროვნული კონგრესი ალტერნატიულ საკანონმდებლო ორგანოდ ვერ ჩამოყალიბდა, რისი ერთ-ერთი მიზეზიც შეიძლება ამომრჩეველთა დაბალი აქტიურობა იყო. მან თავის თავზე ეროვნული მოძრაობის

მაკოორდინირებელი ორგანოს ფუნქციები აიღო (ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის კომისია 1990, 2-3).

28 ოქტომბერს კი საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნები ჩატარდა. არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და ორგანიზაციების რეგისტრაციას ახდენდა არა საბჭოთა ხელი-სუფლება, არამედ პარიტეტულ საწყისებზე არჩეული ცენტრალური საარჩევნო კომისია. საბჭოთა კავშირის ისტორიაში პირველ ჭეშმარიტ მრავალპარტიულ არჩევნებში მონაწილეობა ექვსმა პარტიამ და ხუთმა საარჩევნო ბლოკმა (რომლებიც 23 პარტიას აერთიანებდნენ) მიიღო. ყველა მათგანი, კომუნისტური პარტიის ჩათვლით, საქართველოს დამოუკიდებლობას უჭერდნენ მხარს. საბჭოთა კანონით ყველა პარტია თუ ორგანიზაცია რეგისტრაციას გადიოდა იუსტიციის სამინისტროში, მაგრამ იმის გამო, რომ არც საბჭოთა კავშირის კანონმდებლობა და მით უმეტეს, არც საქართველოს სსრ-ის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა მრავალპარტიულობას, ყველა პარტია დარეგისტრირდა მხოლოდ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. საარჩევნო კანონის მიერ იმ პარტიების უარყოფამ, „რომელთა საქმიანობა არ ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე“ არჩევნების „აიდგილარას“ და „ადამონ ნიხასის“ მხრიდან, ბოიკოტირება გამოიწვია. შედეგად ამომრჩეველთა 70%-იანი აქტივობის მიუხედავად, არაქართველების უმეტესობამ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში გაიზიარა ამ ორგანიზაციების რეკომენდაციები და არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა. ცხინვალში ხმის მიცემის უფლების მქონე 40 000 ამომრჩეველიდან მონაწილეობა მხოლოდ შვიდი ათასმა მიიღო (ანგარიში უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე 1990, 16).

საარჩევნო კამპანიას 40-მდე საერთაშორისო დამკვირვებელი აკვირდებოდა. არჩევნებამდე პოლიტიკურ ფიგურებზე თავდასხმისა და ძალადობის მიუხედავად (27 ოქტომბერს გია ჭანტურიას დაესხნენ თავს) ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კომისიის (CSCE) დასკვნით, სახეზე იყო „სამართლიანი არჩევნების ორგანიზების მექანიზმებისა და პროცედურების შთამბეჭდავი მცდელობა“ (ანგარიში უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე 1990, 17). უზენაესი საბჭოს მრავალპარტიულ არჩევნებში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა პოლიტიკურმა ბლოკმა, სახელწოდებით „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ (1. „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ (81 დეპუტატი); 2. საქართველოს კომუნისტური პარტია (44 დეპუტატი). მაჟორიტარული: 1. „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ (43 დეპუტატი); 2. კომპარტია (17 დეპუტატი); 3. სახალხო ფრონტი (11 დეპუტატი); 4. „დემოკრატიული საქართველო“ (2 დეპუტატი); 5. რუსთაველის საზოგადოება (1 დეპუტატი)).

გამარჯვებული „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ პოლიტიკურ მიზანს ჯერ დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმის ჩატარება, შემდეგ კი ამ რეფერენდუმზე დაყრდნობით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაციის მიღება წარმოადგენდა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე (1990 წლის 14 ნოემბერი) უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ზვიად გამსახურდია. ამ მოვალეობას ის 1991 წლის მარტამდე ასრულებდა. აღნიშნული სესიის გადაწყვეტილებით, ქვეყანას ეწოდა „საქართველოს რესპუბლიკა“; აღდგა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) სახელმწიფო ატრიბუტიკა (დროშა, გერბი და ჰიმნი). ამასთან, დამოუკიდებლობის აღდგენამდე გამოცხადდა გარდამავალი პერიოდი.

28 ოქტომბრის უზენაესი საბჭოს არჩევნებმა საქართველო განვითარების ახალ ეტაპზე გადაიყვანა. ეროვნული მოძრაობა უკვე ხელისუფლებაში იყო.

1991 წლის 31 მარტის საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმზე შეკითხვას – „ხართ თუ არა თანახმა, რომ აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე?“ – საქართველოს საარჩევნო ხმის უფლების მქონე მოსახლეობის 98%-მა დადებითი პასუხი გასცა.

1991 წლის 9 აპრილს, რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

საქართველოს პირველ პრეზიდენტად ზვიად გამსახურდია აირჩიეს. გამსახურდია ადამიანის უფლებების გამორჩენილი დამცველი იყო 1960-იან და 1970-იან წლებში. ის გახლდათ ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფის (1974) და საქართველოს ჰელსინკის სადამკვირვებლო ჯგუფის (1977) ერთ-ერთი დამფუძნებელი. 1956 და 1989 წლებში სამჯერ იყო დაპატიმრებული, ხოლო თითქმის მთელი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის გაუთავებელი კონტროლისა და მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. რეალურად გამსახურდიას სამიზნე იყო არა ადამიანის უფლებები, არამედ ქართველების უფლებები. არალეგალურად გამოცემულ ყურნალებში იგი მუდმივად ხაზს უსვამდა რუსიფიკაციის საფრთხეს, ქართველების დემოგრაფიული შემცირების ტენდენციას, საზღვარგარეთ მცხოვრები ქართული თემების (მაგალითად, ინგილო მოსახლეობის აზერბაიჯანში) სავალალო მდგომარეობას. „გლასნოსტის“ გამოცხადების შემდეგ კი ის მკვეთრად დაუპირისპირდა რუსეთის დისიდენტური მოძრაობის ლიბერალ წარმომადგენლებს.

ზვიად გამსახურდიამ საქართველოს ხელმძღვანელობა ექსტრემალურ ვითარებაში ჩაიბარა. მიმდინარეობდა ქვეყნის დაშლა და ეკონომიკის ვარდნა, პოლარიზებული იყო საზოგადოება. მისი პოლიტიკა კი ნაციონალიზმის, პოპულიზმის, რელიგიურობის და კონსერვატიზმის ნაზავს წარმოადგენდა. გამსახურდიას სწამდა ნახევრად მითოლოგიური და რასობრივად წმინდა ქართული წარსულის. ის საქართველოს მკვდრეთით აღმდგარ ლაზარეს ადარებდა. ამავდროულად იყო სოციალური კონსერვატიზმის მიმდევარი და აპელირებდა ტრადიციული ოჯახური როლით, მეგობრობით, რელიგიითა და თავგანწირვით, იმ თვისებებით, რომელიც შინაგანად ქართულ თვისებებად მიაჩნდა (რჩეულიშვილი 1991, 548). გამსახურდია ვერ გათავისუფლდა საბჭოთა იმპერიული მემკვიდრეობისგან, რაც ნათლად გამოჩნდა მის ავტორიტარულ დამოკიდებულებაში პრესის, პარლამენტის და ოპოზიციის მიმართ. შიდა და გარე მტრებთან ბრძოლა ამართლებდა სხვაგვარად მოაზროვნეების რეპრესიებს და საფუძველს უყრიდა მტრულ კამპანიას ალტერნატიული პოლიტიკური იდეოლოგიების, მაგალითად ლიბერალურის წინააღმდეგ. გამსახურდია გამუდმებით სასაცილოდ იგდებდა ე. წ. ოპოზიციას და უწოდებდა უბადრუკს, „კრიმინალურს“ და „ანტიკონსტიტუციურს“, შეკრულს შევარდნაძესთან და მოსკოვში თავმოყრილ სხვა შეთქმულებთან.

გამსახურდიამ ვერ მოახერხა ტრადიციული ქართული საზოგადოების მოდერნიზაცია. ქრისტოფერ კლაფამმა საქართველოს მსგავსი კულტურები დაახასიათა, როგორც ნეოპატრიმონიალური, სადაც სახელისუფლებო სტრუქტურების საფუძველი კვლავ პირადი ურთიერთობები და სტატუსი იყო და სადაც ოფიციალურ და კერძო სამყაროს შორის განსხვავებები ძალიან მცირეა (Clapham 1985, 39-60). ასეთ საზოგადოებაში კაბინეტებში

მოკალათებული პიროვნებები იქცევიან პოლიტიკური ძალაუფლების და რესურსების წყაროდ. საქართველოშიც მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის პიროვნება ინსტიტუტზე მაღლა იდგა, რის გამოც პარტიებმა და სხვა ეროვნულმა ინსტიტუტებმა, რომლებიც ხალხის მონაწილეობას ეყრდნობოდა, ფეხი ვერ მოიკიდა. ინსტიტუტი, პიროვნებისგან განსხვავებით, პრინციპული მნიშვნელობის არ იყო ხალხისთვის.

ყველაფერ ამას დაემატა ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი ეკონომიკური ვითარება. საქართველოს არ ჰქონდა საკუთარი ვალუტა და ვერ აკონტროლებდა ვაჭრობას და მიგრაციას საკუთარ საზღვრებზე. გამსახურდია თავად ეკონომიკაზე სახელმწიფოს მეტ კონტროლს უჭერდა მხარს. ახალმა მთავრობამ დასაქმების დონის შესანარჩუნებლად ძველი ბიუროკრატიული აპარატი დატოვა ადგილზე. სახელისუფლებო მონოპოლიები კვლავ ხელშეუხებელი დარჩა. მიწის, სტრატეგიული სამრეწველო საწარმოების და წიაღისეულის მესაკუთრე კვლავ სახელმწიფო იყო. ეს კი ბაზრის განვითარებას არ უწყობდა ხელს. კოლექტიური მეურნეობები სახელმწიფო მეურნეობებად გარდაიქმნა, უცხოელთათვის მიწის მიყიდვის დაუშვებლობის მიზეზით.

გამსახურდიას მთავრობაში რამდენიმე ადამიანი მუშაობდა სახელმწიფო კაპიტალიზმის თეორიაზე, მაგალითად, მისი ბოლო პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი. თავად პრეზიდენტი თავისუფალი ბაზრის წინააღმდეგ იყო განწყობილი, რასაც მოწმობს მისი დაპირისპირება კოოპერატივებთან და პრივატიზაციის თავდაპირველად მიღებული კანონისთვის ვეტოს დადება. საქონლის დიდი ნაწილი არ იყო თავისუფალი ფასების კონტროლისგან, საგამომცემლო საქმე კი ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის ქვეშ რჩებოდა. უცხოეთიდან ექსპორტი მკაცრად რეგულირდებოდა, რაც ქვეყნის ეკონომიკურ იზოლაციას ზრდიდა. ამ ფონზე საშუალო ქართველის ცხოვრების დონე მკვეთრად დაეცა, პური და შაქარი ნორმირებული გახდა. საქართველო ეკონომიკური კატასტროფის წინაშე დადგა (ჯონსი 2013, 84-85).

ასეთი პირობები ხელს უწყობდა ქარიზმატულ პოლიტიკას. საქართველოს ნეოპატრიმონიალური კულტურის კონტექსტში, ლეგიტიმური სახელმწიფო ინსტიტუტების გარეშე, ხელისუფლებას პრეზიდენტი განასახიერებდა. ქარიზმა იყო გამსახურდიას ხელისუფლების მთავარი წყარო. ამან ხელი შეუწყო სახელისუფლებო რეპრესიებს. გამსახურდიას ხელმძღვანელობის სტილმა ძირი გამოუთხარა ჩანასახოვან მდგომარეობაში მყოფ წარმომადგენლობით ინსტიტუტებს საქართველოში. ის პირდაპირ მოუწოდებდა მასებს, რომ გადაეღახათ ინსტიტუციური დაბრკოლებები. ეკონომიკურმა ქაოსმა ხელი შეუწყო განტევების ვაცების ძებნას. საქართველოში ესენი იყვნენ კომუნისტები, „წითელი ინტელიგენცია“, სსრკ, ეროვნული უმცირესობები. ერნესტო ლაკლაუ თავის კვლევაში პოპულიზმის შესახებ ამგვარი სახის არგუმენტებს უწოდებს „პოლიტიკური სივრცის გამარტივებას“: სახალხო ბრძოლა ერთიანდება ერთი საკითხის ირგვლივ და პოლიტიკურ სირთულეს „ჩვენთანად“ და „სხვებთანად“ ხედვა ანაცვლებს. მარგარეტ კანოვანი თავის ნაშრომში ამბობს, რომ პოპულისტური მოძრაობები „გულისხმობს გარკვეული სახის ეგზალტაციას და „ხალხზე“ აპელირებას და ყველა მათგანი ამა თუ იმ აზრით ანტიელიტისტურია“ (Canovan 1981, 294). ეთნიკურად „სხვების“, ინტელექტუალების, ან უცხოეთის მთავრობების განტევების ვაცად გამოცხადება; სახელმწიფოს მიერ მართული ეკონომიკა; პრესის მანიპულირება; ხაზგასმა ქარიზმატულ ძალაუფლებაზე; განსაკუთრებული ბედისწერა ერისთვის; ძლიერი

საპრეზიდენტო სისტემით გამყარებული ხელმძღვანელის კულტი – პოპულისტური მმართველობის თვისებებია (ჯონსი 2013, 76-77).

თითქმის ყველა პოპულისტური მოძრაობის უმთავრესი ნიშანი მთელი ძალაუფლების კონცენტრირებაა ლიდერის ხელში. ქარიზმატული „პიროვნების კულტი“ მთავრობის მიერ ორგანიზებული მიტინგებისა და დემონსტრაციების პარალელურად ვითარდებოდა. გამსახურდია დაჟინებით უჭერდა მხარს ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობის შემოღებას და ეწინააღმდეგებოდა საპარლამენტო სისტემას. „საპარლამენტო რესპუბლიკა ჩვენთვის ნიშნავს ერისა და პარლამენტის ნგრევას... საპრეზიდენტო წყობა ერთადერთი საშუალებაა ჩვენი ხალხის ხსნის. უნდა იყოს ძლიერი პრეზიდენტი და ძლიერი საპრეზიდენტო წყობა... ამის გარეშე საქართველო ვერ იარსებებს“ (FBIS-SOV 1991, 69)... კანონი პრეზიდენტის შესახებ აჩვენებდა, თუ რამდენად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა გამსახურდია ცენტრალურ მართვას. როგორც პრეზიდენტს, მას უზარმაზარი ძალაუფლება ენიჭებოდა. უზენაესი საბჭოს „თანხმობით“ მას შეეძლო, დაენიშნა და გაეთავისუფლებინა პრემიერ-მინისტრი, მისი კაბინეტები, სასამართლოს უმაღლესი თანამდებობის პირები და წამყვანი დიპლომატები. საპრეზიდენტო ვეტოს დაძლევის შემთხვევაში მას შეეძლო, დაეთხოვა პარლამენტი ან მოეწყო რეფერენდუმი. როგორც უმაღლესი მთავარსარდალი, გამსახურდია აკონტროლებდა ეროვნულ გვარდიას და სამხედრო პირთა დანიშვნებს. პრეზიდენტის არჩევა დასაშვები იყო შეუზღუდავი ვადით, ხოლო მის იმპიჩმენტს პარლამენტის დეპუტატების ხმათა სამი მეოთხედი სჭირდებოდა.

პირველ პრეზიდენტს თავისებური დამოკიდებულება ჰქონდა დემოკრატიის მიმართაც. ის არჩევნებს, კონსტიტუციასა და მრავალპარტიულობას საკმარისად მიიჩნევდა. გამსახურდიამ პოლიტიკური ძალების პოლარიზება მოახდინა. ოპოზიციის წინააღმდეგ მიმართულ მის ტერმინოლოგიაში ჭარბობდა 1930-იანი წლების სსრკ-სთვის დამახასიათებელი ფრაზები. თავის ოპონენტებს პრეზიდენტი „ერის მტრებად“, „კრემლის აგენტებად“, „იუდეებად“ და „კრიმინალებად“ რაცხავდა (საქართველოს რესპუბლიკა 1990, 2). შეურაცხმყოფელი რიტორიკა მოსახლეობის მობილიზებას და ოპონენტების დემონიზებას ახდენდა, რამაც კომპრომისი და თანამშრომლობა მიუღწეველი გახადა. სამხრეთ ოსეთში კონფლიქტმა მას საშუალება მისცა საჯარო კრიტიკაზე ცენზურა და შეზღუდვები გაემართლებინა. შედეგად დააპატიმრეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი გია ჭანტურია, სამხრეთ ოსეთის ლიდერი ტორეზ კულუმბეგოვი, ჯაბა იოსელიანი და რეჟისორი, ოპოზიციური ეროვნული კონგრესის წევრი გოგა ხაინდრავა (FBIS-SOV, 72, 1991). ბრალდების წარდგენამდე პირის წინასწარი დაკავების ვადა სამიდან ცხრა თვემდე გახანგრძლივდა, რათა პრეზიდენტს თავისი მოწინააღმდეგეები საპატიმროში გაეჩერებინა. ფარულად დგებოდა მტრების სია, პრესაში ქვეყნდებოდა ანონიმური წერილები, რომელიც ოპოზიციას ამხელდა (FBIS-SOV 1991, 80-81).

პრესა სამთავრობო რუპორად გადაიქცა მიტინგებზე არალოიალური ჟურნალისტების მიმართ გამოთქმული მუქარისა და ოპოზიციური გაზეთების „ქალაქის ნაკლებობის“ მიზეზით დახურვის „დამსახურებით“. პრეზიდენტის ადმინისტრაცია ნიშნავდა მთავარი სამთავრობო გაზეთების რედაქტორებს და საქართველოს ტელევიზიის დირექტორს. 1991 წლის ზამთარში მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელი დამოუკიდებელი გაზეთები დაარჩნენ. რუსული გაზეთი „ნოვაია გაზეტა“ და „ახალგაზრდა ივერიელი“ 1991 წლის შემოდგომაზე დაიხურა და რიგი ჟურნალისტებისა დააპატიმრეს (FBIS-SOV 1991, 85).

1991 წლის, შემოდგომაზე დაწყებული პოლიტიკური კრიზისი გამსახურდიას ხელი-სუფლებისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. ინსტიტუტების სისუსტემ და ლეგიტიმაციის ერთ პიროვნებაზე ფოკუსირებამ თავი ნათლად ეროვნული გვარდიის შემთხვევაში იჩინა. გამსახურდიამ პროფესიული არმიის ჩამოყალიბებას ვერ შეუწყო ხელი და კოლორიტულ სამხედრო წინამძღოლს, თენგიზ კიტოვანს დაეყრდნო. ამავედროულად მას ხელი არ შეუშლია ეროვნული გვარდიის შიდა პოლიტიკურ პროცესებში ჩართვისთვის. გვარდია, სხვა ქართული ინსტიტუტების მსგავსად, კლიენტის და პიროვნებისადმი ერთგულების საბჭოთა მემკვიდრეობის პრინციპებით იმართებოდა. ამან გაართულა დამოუკიდებელი ინსტიტუციური სუბორდინაციის დაცვა და ხელი შეუწყო გამსახურდიასა და კიტოვანს შორის პირად ქიშპობას. ეროვნული გვარდიის გაძლიერებით შეშინებულმა პრეზიდენტმა იგი სპეციალური დანიშნულების მილიციის რაზმის ქვედანაყოფად აქცია და მისი მეთაური თენგიზ კიტოვანი დაითხოვა. ამ გზით გამსახურდიამ თითქოს გვარდია საბჭოთა ძალებისგან დაიცვა (იოსელიანი 2013, 28). მთავარი პრობლემა მისი სარდლის თანამდებობის გაუქმებასთან დაკავშირებით შეიქმნა. ეროვნული გვარდია ფორმალურად შსს-ს ექვემდებარებოდა შინაგანი ჯარის სტატუსით. კიტოვანი გამსახურდიას ამ გადაწყვეტილებას არ დაემორჩილა და 15-ათასიანი ეროვნული გვარდიის ერთგული ნაწილით რკონის ტყეში, თბილისიდან 40 კილომეტრში დაბანაკდა. „გადაეცით, რომ მე იარაღს არ დავყრი. დედას ვუტირებ მე მაგას, იცოდეთ. ბოლომდე ვიბრძოლებ, სანამ მე ცოცხალი ვარ და ერთი გვარდიელი მაინც იქნება, სისხლს ამოვუღებ“ (ჯონსი 2013, 97). მას შეუერთდა პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა. საპასუხოდ პრეზიდენტმა ეროვნული უშიშროების საბჭო შექმნა, რომელშიც მისი ერთგული მრჩეველები და ძალოვანი ორგანოების ხელმძღვანელები შევიდნენ (SSSRUSU 1991, 12). მიუხედავად იმისა, რომ ალადგინა ეროვნული გვარდიის სტატუსი, გახიზნული გვარდიელების შემორიგება მაინც ვერ მოხერხდა.

ვითარება განსაკუთრებით დაიძაბა 2 სექტემბრის შემდეგ, როდესაც კინოს სახლთან მიმდინარე ოპოზიციურ მიტინგს სამთავრობო ძალებმა ცეცხლი გაუხსნეს. ამ დროს საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდა ამერიკელ კონგრესმენთა დიდი დელეგაცია. აღნიშნულმა ფაქტმა გააძლიერა ოპოზიცია და გააღრმავა მოსახლეობის ნაწილის იმედგაცრუება არსებული ხელისუფლების მიმართ. რკონიდან დაბრუნდა გვარდია და შავნაბადასთან დაბანაკდა. ედუარდ შევარდნაძემ საკავშირო ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ პრეზიდენტმა გამსახურდიამ საკუთარ ხალხთან კავშირი დაკარგა. რუსთაველის გამზირზე აღიმართა ბარიკადები, შეჩერდა პარლამენტის მუშაობა. ერთმანეთთან დაპირისპირებული 27 პარტია ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების წინააღმდეგ გაერთიანდა (შევარდნაძე 2006, 282). გამსახურდიამ ოპოზიციას აგრესიული რიტორიკით უპასუხა და ქართველებს ბანდიტების „ლიკვიდაციისკენ“ მოუწოდა. „რაც არ უნდა დაირქვან მათ, გინდ დემოკრატიული ოპოზიცია, გინდ ანგელოზების ფრთებგამობილი ოპოზიცია, ყველამ იცის, რომ ისინი მკვლელები არიან, მოლაღატეები და გამყიდველები“ (ჯონსი 2013, 97-101)... ამავედროულად რეგიონებიდან ჩამოყვანილმა მხარდამჭერებმა მთავრობის სასახლის წინ კარვები გაშალეს. ოპოზიციის წინააღმდეგ მსგავსი ტაქტიკა არ ამართლებდა და წინააღმდეგობას კიდევ უფრო აძლიერებდა. ხელისუფლება სულ უფრო და უფრო სუსტდებოდა. მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო დაიშალა. გამსახურდიას ყოფილმა მოკავშირეებმა „ქარტია 91“ – საქართველოში საყოველთაო სამოქალაქო მშვიდობის დაცვა დააფუძნეს. ქარტიას მხარდაჭერა პატრიარქმა გამოუცხადა, რომელმაც დაგმო

„ყაზარმული დისციპლინა საზოგადოებრივ ცხოვრებაში“ და მოითხოვა „თავისუფალ აზრზე და გამოხატვაზე ზეწოლის დასრულება“ (FBIS-SOV 1991, 94). პარლამენტის მუშაობა აღდგა, თუმცა ადგილი ჰქონდა სხდომების დროს დეპუტატების მიერ დარბაზის მასობრივ ბოიკოტს. შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული მოძრაობა (სახალხო ფრონტი, მწვანეები და რესპუბლიკური პარტია), რომელთაც საპრეზიდენტო მმართველობის სისტემის საპარლამენტო სისტემით ჩანაცვლება მოითხოვეს. რუსთაველის გამზირი ორ ნაწილად იყო გაყოფილი. ოპოზიციის მიერ აღმართული ბარიკადები მოშიშმილევით და დემონსტრანტებით გაივსო. გამსახურდია მთავრობის სასახლეში რჩებოდა ეროვნული გვარდიის ერთგული წევრების და რეგიონებიდან ჩამოსული მხარდამჭერების იმედად.

ორად გაყოფილი აღმოჩნდა თბილისიც. ოპოზიცია ფილარმონიაში, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში, ტელევიზიის სტუდიებში და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამაგრდა. მხედრიონის შტაბი ჭადრაკის სასახლეში განლაგდა. გამსახურდიას მომხრეები მთავრობის სასახლეში და სამინისტროების შენობებში იყვნენ დაბანაკებული. ორად გაიყო თბილისის დასახლებული უბნებიც. ვაკესა და ვერაზე „წითელი ინტელიგენცია“ და „ოქროს ახალგაზრდობა“ დომინირებდა. ხოლო გლდანი, ნაძალადევი და დიდუბე გამსახურდიას უჭერდა მხარს (ნათაძე 2002, 291).

ადგილი ჰქონდა ოპოზიციონერთა დაკავებებს. 16 სექტემბერს თვითმფრინავიდან, რომელიც მოსკოვისკენ მიფრინავდა, გადმოსვეს და დააკავეს ედეპეს (ეროვნულ დემოკრატიული პარტიის) ლიდერი გია ჭანტურია. დააპატიმრეს პოპულარული ტელეჟურნალისტი ვალერი კვარაცხელიაც (FBIS-SOV 1991, 77) 21 სექტემბერს კიდევ ერთი სისხლიანი შეტაკება მოხდა. დაარბიეს ეროვნულ-დემოკრატიული და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიების ოფისები. გამსახურდიამ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა და პარლამენტის დათხოვნით დაიმუქრა. კიტოვანის ეროვნული გვარდიის ნაწილები თბილისში დაბრუნდნენ, ოპოზიციას ჟურნალისტებიც შეუერთდნენ. საბოლოოდ კი, სექტემბრის ბოლოს, დაპირისპირება სამოქალაქო ომში გადაიზარდა.

1992 წლის 6 იანვარს პრეზიდენტმა ერთგულ თანამოაზრეებთან ერთად მთავრობის სასახლე დატოვა და თავი სომხეთს შეაფარა. ომის შედეგად თბილისში დაიღუპა 107 ადამიანი და დაიჭრა 527-ზე მეტი. ნანგრევებად იქცა სასტუმრო „თბილისი“ და პირველი სკოლა. სამოქალაქო ომი გრძელდებოდა სამეგრელოში. 1990 წელს საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ საყოველთაო აღტკინებით არჩეული ზვიად გამსახურდია სამი წლის შემდეგ საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა.

ინტერრეგნუმი

გამსახურდიას მმართველობის შემდეგ საქართველოში ინტერრეგნუმი (შუალედური მმართველობა) დამყარდა. 1992-დან 1995 წლამდე სამი წელი გამსახურდიას მეორე რესპუბლიკის გამოფიტული რადიკალიზმიდან შევარდნაძის მესამე რესპუბლიკის ზომიერ პოლიტიკაზე გადასვლის ტრანზიტულ პერიოდს წარმოადგენს, რომელიც 1995 წელს, კონსტიტუციის მიღებით იწყებს თავის არსებობას. შუალედური მმართველობა კი წარმოადგენდა ე.წ. „არეულობის პერიოდს“, რომელიც ხასიათდებოდა ძლიერი გასამხედროებულ ძალების არსებობით, უცხოური ინტერვენციითა და სამხედრო კრიზისებით სამხრეთ

ოსეთსა და აფხაზეთში. ამ ყველაფერს თან დაერთო უმძიმესი ეკონომიკური კრიზისი. ამ პერიოდის მახასიათებელია: სიღატაკე, უშუქობა, კრიმინალის ზრდა, გადაუხდელი ხელფასები და ინფლაციის დონე 15 ათასზე მაღალი პროცენტით (ჯონსი 2013, 106). გადატრიალების შედეგად ჩამოყალიბებულმა სამხედრო საბჭომ, რომელმაც სულ რამდენიმე თვის განმავლობაში იარსება, თავი ძირითადად სასტიკი დიქტატურისათვის დამახასიათებელი თვისებებით გამოიჩინა. მან გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა, სრულ კონტროლს დაუქვემდებარა სატელევიზიო ეთერი და, რაც მთავარია, სასტიკი და დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ოპონენტებს. მისი წარმომადგენლები ლამის ყოველდღიურად ფიზიკურად უსწორდებოდნენ ხელისუფლებას იძულებით ჩამოშორებული ზვიად გამსახურდიას მომხრეებს. მიტინგების დარბევები ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილი გახდა. მათ შორის ადგილი ჰქონდა უიარალო მანიფესტანტების დახვრეტის რამდენიმე ფაქტს, გმირთა მოედნის, დიდუბისა და დელისის მეტროს მიმდებარედ. სახეზე იყო პოლიტიკური მოწინააღმდეგეების უკანონო დაკავების, ფიზიკური ანგარიშსწორების და სიცოცხლის მოსპობის მრავალი სხვა ფაქტიც (ჯონსი 2013, 106)...

სწორედ ამ დროს ჩაიბარა ქვეყნის მმართველობა საბჭოთა კავშირის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ შევარდნაძემ. 1985 წლის ივლისში ედუარდ შევარდნაძემ, რომელმაც თავის ქვეყანაში ბაზრის შეზღუდული რეფორმის ექსპერიმენტი ჩაატარა (აბაშისა და ფოთის ექსპერიმენტები), გორბაჩოვის ყურადღება მიიქცია და ამ უკანასკნელმა იგი მოსკოვში, საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე მიიწვია. საქართველოში მას გამარჯვებულმა, მაგრამ პოლიტიკურად გამოუცდელმა მემბოხებმა – იოსელიანმა, კიტოვანმა და თენგიზ სიგუამ დაუძახეს, რათა წესრიგი დაემყარებინა და მათი უსაფრთხოება უზრუნველყოს.

ედუარდ შევარდნაძე თბილისში 1992 წლის 7 მარტს ჩამოფრინდა. აეროპორტში მას ჯაბა იოსელიანი, თენგიზ კიტოვანი და ინტელიგენციის წარმომადგენლები დახვდნენ. საბჭოთა კავშირის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩამოსვლისთანავე განაცხადა: „ყველაფერი დანგრეულია... ჩვენ უნდა ხელებდაკაპიწებულებმა ვიშრომოთ და საქმე ვაკეთოთ“ (წიქარიშვილი 2003, 357).

შევარდნაძის წინაშე კი იდგა ფუნდამენტური ამოცანა, აღედგინა სახელმწიფოს ერთიანობა. ჩარლზ ტილი აღნიშნავს სახელმწიფოს სამ ძირითად ფუნქციას – მოპოვების, იძულებისა და ინტეგრირების ფუნქციებს (Tilly 1990, 1-3). ამ დროისათვის საქართველოს არ შეეძლო საზღვრების დაცვა, ვერ უმკლავდებოდა მზარდ კორუფციას, არ იხდიდა ხელფასებს და პენსიებს, ვერ უზრუნველყოფდა სკოლების და საავადმყოფოების მუშაობას. რეგიონებში საკუთარი პოლიტიკის გატარებისას სახელმწიფო დამოკიდებული იყო ადგილობრივ ავტორიტეტებსა და საველე მეთაურებზე. ახალ ქართულ ხელისუფლებას ტილის ფუნქციებიდან სამივე უნდა უზრუნველყოს. შევარდნაძეს უნდა მოეხდინა შემოსავლების გენერირება, საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება და სახელმწიფოს მიმართ გაუცხოებული ეროვნული უმცირესობების და დამარცხებული ზვიად გამსახურდიას მომხრეების შემორიგება. ყველაზე მწვავე საკითხი „მხედრონის“ და ეროვნული გვარდიის პრობლემის მოგვარება იყო, რომლებიც სამხედრო საბჭოს, ეკონომიკასა და რეგიონებს აკონტროლებდნენ. ისინი ატარებდნენ ანგარიშსწორების ოპერაციებს ყოფილი პრეზიდენტის მომხრეების წინააღმდეგ. საჭირო იყო ამ ოპერაციების შეწყვეტა და მათი შერიგება. ამავდროულად აუცილებელი იყო ახალი კანონების მიღება მოქალაქეობის, პრივატიზაციის, ადგილობრივი თვითმმართველობის

ველობის, სასამართლოს, არჩევნების, პარლამენტის და აღმასრულებელი ხელისუფლების შესახებ. საჭირო იყო ეფექტიანი საგარეო პოლიტიკის წარმოება, რომელიც ქვეყანაში სტაბილურობას უზრუნველყოფდა. შევარდნაძეს სჭირდებოდა სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაც, რომელიც ქვეყანას და მის მოსახლეობას სიღარიბიდან გამოიყვანდა.

შევარდნაძის დაბრუნებას პირველი დადებითი ეფექტები საგარეო პოლიტიკურ არენაზე მოჰყვა. სამი თვის განმავლობაში საქართველოს ესტუმრა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი დიტრიხ გენშერი, აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი და თურქეთის პრეზიდენტი სულეიმან დემირელი. პრეზიდენტი ბუში ღია წერილში შევარდნაძეს ამერიკულ ინვესტიციებს დაჰპირდა. 23 მარტს საქართველო ევროპის ეკონომიკურმა თანამეგობრობამ აღიარა, ხოლო 31 ივლისს საქართველო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 179-ე წევრი გახდა. შევარდნაძემ ამ დღეს „ახალი საქართველოს დაბადება“ უწოდა (შევარდნაძე 2006, 312-317).

საშინაო არენაზე მნიშვნელოვანი იყო არჩევნების ჩატარება, რაც 1992 წლის 11 ოქტომბერს განხორციელდა. სამხედრო საბჭოს ნაცვლად შეიქმნა სახელმწიფო საბჭო, რომელიც სამოქალაქო ორგანიზაცია იყო და თავის თავს უწოდებდა ყველაზე წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც არჩევნების ჩატარებამდე განახორციელებდა ყველა მმართველობით და მაკონტროლებელ ფუნქციას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე“ (ნორმატიული აქტების კრებული; 1 ტომი, 1992-1995). სახელმწიფო საბჭოს ძალაუფლება უმეტესად სიმბოლური იყო. რეალური ძალაუფლება საბჭოს პრეზიდენტს ეკავა, რომელიც უმაღლეს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ფუნქციებს აერთიანებდა და გადაამწყვდებდა ხმის მქონე ოთხი წევრისგან შედგებოდა – პრეზიდენტის თავმჯდომარე შევარდნაძე, ვიცე-პრეზიდენტი ჯაბა იოსელიანი, პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი თენგიზ სიგუა და მისი მოადგილე თენგიზ კიტოვანი. სახელმწიფო საბჭომ ნებაყოფლობით ლიკვიდაციამდე ახალი საარჩევნო კანონი მიიღო, რომლის მიხედვითაც იქმნებოდა სამწლიანი გარდამავალი პერიოდის პარლამენტი. არჩევანი გაკეთდა შერეულ პარტიულ სიაზე და მაჟორიტარულ სისტემაზე. საბოლოოდ პარლამენტში 26 პარტია მოხვდა, ზოგიერთი მათგანი ბლოკის შემადგენლობაში. 235-წევრიან პარლამენტში ყველაზე მეტი ადგილი (35) ბლოკმა „მშვიდობამ“ მოიპოვა ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით. უახლოესი კონკურენტი იყო 11 ოქტომბრის ბლოკი, რომელშიც უფრო ახალგაზრდა რეფორმატორები შედიოდნენ. მესამე ადგილი 15 მანდატით ბლოკმა „ერთობამ“ მოიპოვა, რომელშიც გამსახურდიას მიერ „წითელ ინტელიგენციად“ შერაცხული კულტურული და პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები შედიოდნენ. 15 ადგილი მოიპოვა ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამაც (საქართველოს პარლამენტი 1992-1995, 10). ნოემბერში გაიმართა პარლამენტის პირველი სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა კანონი სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ და საქართველოს პარლამენტის შესახებ დროებითი დებულება. შევარდნაძე პარლამენტის თავმჯდომარეობის პარალელურად სახელმწიფოს მეთაურადაც იქნა არჩეული. ახალი პარლამენტი არ იყო ეფექტიანი. საარჩევნო ბლოკები სწრაფად დაიშალა. 5 ნოემბერს, პარლამენტის გახსნის დღეს, პატრიარქმა ილია II-მ სთხოვა დეპუტატებს, არ დაეწყოთ ერთმანეთში მტრების ძებნა და შეახსენა, რომ „თავისუფლება მართო დროშების ფრიალი არ არის“ (საქართველოს პარლამენტი 1992-1995, 12-13). მის გაფრთხილებას დიდი შედეგი არ მოჰყოლია. აფხაზეთის კრიზისი ლალატში ურთიერთბრალდებებს იწვევდა. რუსეთთან შერიგებაზე მსჯელობა ლალატის ბრალდებებში გადადიოდა, ხოლო ადგილობრივი

არჩევნების გადადება დემოკრატიისათვის ხელის შეშლად განიხილებოდა. ოპოზიციური პარტიები ვერ ახერხებდნენ კონსოლიდირებას, ხოლო ერთმანდატიან უბნებში არჩეული მაჟორიტარების დიდი ჯგუფი უზრუნველყოფდა პრეზიდენტი შევარდნაძისათვის საპარლამენტო უმრავლესობას უმეტეს საკითხებზე. ახალმა პარლამენტმა ვერ მოახერხა კანონის უზენაესობის დამყარება, ხოლო შევარდნაძემ მის ხარჯზე აღმასრულებელი ძალაუფლება გააძლიერა.

პარლამენტის თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ შევარდნაძე როგორც აღმასრულებელ, ასევე საკანონმდებლო შტოებს ოფიციალურად მართავდა. პარლამენტი შევარდნაძეს, როგორც ქვეყნის მეთაურს, ექსკლუზიურ უფლებებს ანიჭებდა. იგი პასუხისმგებელი იყო საგარეო ურთიერთობებზე და პარლამენტის თანხმობის გარეშე ნიშნავდა უმაღლეს სამხედრო პერსონალს და რეგიონებში სახელმწიფოს წარმომადგენლებს (გუბერნატორებს და მერებს). შევარდნაძის ძალაუფლება კიდევ უფრო გაიზარდა 1993 წლის ივლისში, როდესაც პარლამენტმა მას უფლება მიანიჭა გამოეცა კანონის ძალის მქონე ნორმატიული აქტები ეკონომიკურ სფეროში, მოეწვია და გასძლიოდა კაბინეტის სხდომებს და პარლამენტის სანქციის გარეშე შეეცვალა მაღალი თანამდებობის პირები.

მიუხედავად ამისა, ხალხის არჩეულმა პარლამენტმა დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის საკანონმდებლო ჩარჩო შექმნა. 1992-1995 წლებში მიღებულ იქნა კანონები მეწარმეობის, ინვესტიციების, პრივატიზაციის, გადასახადების აკრეფის, მიწის მფლობელობის, შეიარაღებული ძალების და არჩევნების შესახებ. შევარდნაძემ ძალაუფლების უზურპაციის შემდეგ ისარგებლა საკუთარი პოპულარობით და გაილაშქრა კიტოვანის და იოსელიანის წინააღმდეგ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ შოთა კვიციანიას ხელმძღვანელობით დაიწყო კამპანია მხედრონთან დაკავშირებული კრიმინალური დაჯგუფებების წინააღმდეგ. ამას თან დაერთო განხეთქილებები თავად მხედრონის შიგნით, რასაც მისი ლიდერების მკვლელობები მოჰყვა. თავდაცვის მინისტრად ვარდიკო ნადიბაიძის დანიშვნით კი შევარდნაძემ ამ უწყებაზე კონტროლი მოიპოვა. 1995 წლის 29 აგვისტოს ტერაქტი პრეზიდენტის წინააღმდეგ მხედრონის საბოლოოდ გასანადგურებლად გამოიყენეს. მკვლელობის მცდელობა მიაწერეს საქართველოს უშიშროების მინისტრს, პრორუსულ ფიგურას იგორ გიორგაძეს და ჯაბა იოსელიანს. უშიშროების სამინისტროში განხორციელებულმა დაჭერებმა სტრუქტურა არალოიალური კადრებისგან გაწმინდა, ხოლო იგორ გიორგაძე რუსული სამხედრო ბაზიდან მოსკოვში გაიქცა. მოგვიანებით ჯაბა იოსელიანი 200 „მხედრონელთან“ ერთად დააკავეს. ხელმძღვანელობის გარეშე დარჩენილი „ქართველ მამველთა კორპუსი“ (ყოფილი მხედრონი) ოქტომბერში დაიშალა (ჯონსი 2013, 104-149).

შევარდნაძის მთავარ მიღწევად ამ პერიოდში მაინც ახალი კონსტიტუციის შექმნა მიიჩნევა. მისი მიხედვით მნიშვნელოვნად ძლიერდებოდა პრეზიდენტის ფუნქციები ამერიკული მოდელის მსგავსად. შევარდნაძეს გაუადვილდა საკანონმდებლო პროცესზე დომინირება. იგი პარლამენტის დასტურის გარეშე ნიშნავდა და ათავისუფლებდა მინისტრებს. სახელმწიფო მინისტრი, რომელიც მინისტრთა კაბინეტს ხელმძღვანელობდა, პირდაპირ პრეზიდენტის წინაშე იყო ანგარიშვალდებული. ახალი კონსტიტუცია ცენტრალიზებული იყო, თუმცა მან მოახერხა ქვეყანაში გავლენიანი ინსტიტუტების შექმნა (მაცაბერიძე 90-105).

აღსანიშნავია, რომ ამ ყოველივეს არ მოუხდენია შევარდნაძის მმართველობის სტრუქტურის ძირეული შეცვლა. პრეზიდენტმა ისეთი ძალაუფლება მოიპოვა, რომელმაც მას საკანონმდებლო დონეზე დომინირება გაუადვილა. ფრანგული საპრეზიდენტო სისტე-

მისგან განსხვავებით, სადაც პრემიერ-მინისტრს ხშირად საპარლამენტო ძალაუფლების ბაზა ჰქონდა, შევარდნაძეს თავისი მინისტრების მხრიდან ოპოზიცია არ ჰყავდა. ახალი კონსტიტუცია კრიზისის დროს შეიქმნა და ის, ნაცვლად კონსტიტუციური სტაბილურობის უფრო გრძელვადიანი პერსპექტივებისა, მოკლევადიან საჭიროებებს აბალანსებდა. თუმცა მიუხედავად ხარვეზებისა, მას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს პოლიტიკისთვის. მან ქართული სახელმწიფო დახვეწა და მას გავლენიანი პოლიტიკური ინსტიტუტები შეუქმნა.

შევარდნაძე

დროებითი მმართველობა საქართველოში 1995 წლის 5 ნოემბერს დასრულდა, როდესაც ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები, რომელზეც ხმების 72,9%-ით ედუარდ შევარდნაძემ გაიმარჯვა. მან გამსახურდიას მმართველობა პროვინციულ ფაშიზმად გამოაცხადა და განაცხადა, რომ ბრძოლა მის წინააღმდეგ გაძლიერდებოდა.

დაახლოებით 1998 წლიდან შევარდნაძემ დაიწყო პროდასავლური პოლიტიკური კურსის გატარება. ქვეყანა დათანხმდა ნავთობსადენ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებლობას, პირველად მოიწვიეს არმიის გასაწვრთნელად ინსტრუქტორები აშშ-დან.

პირველი საპრეზიდენტო ვადის დროს შევარდნაძემ გადაიტანა მეორე ტერაქტი, რომელიც 1998 წლის 9 თებერვალს ყოფილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მომხრეების მიერ იყო დაგეგმილი. 1998 წლის ოქტომბერში ადგილი ჰქონდა ზვიად გამსახურდიას მომხრე პოლკოვნიკ აკაკი ელიავას აჯანყებასაც, რომელიც სამთავრობო ძალებმა ჩაახშვეს.

2000 წლის 9 აპრილს შევარდნაძე ხუთი წლის ვადით ხელახლა აირჩიეს საქართველოს პრეზიდენტად ხმათა 82 %-ით. მან განაცხადა, რომ 2005 წელს, საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ, იგი გავიდოდა პენსიაზე და შეუდგებოდა მემუარების წერას. მეორე საპრეზიდენტო ვადის დასაწყისი პანკისში ვითარების გამწვავებით გამოირჩა. 2001-2002 წელს ხეობაში იარაღის, ცოცხალი საქონლისა და ნარკოტიკების კონტრაბანდისტულმა ბანდებმა მოიმატეს. ხეობა ყველასთვის ჩაიკეტა, გარდა იქაური მუდმივი მოსახლეობისა. შესასვლელ გზებზე ქართული ჯარი და ქისტების სახალხო ლაშქარი განთავსდა. დააყენეს საკონტროლო პუნქტები. იაპონელი ჟურნალისტი კოსუკე ცუნეოკა იტყობინებოდა, რომ პანკისის ხეობაში საქართველოს ხელისუფლების ძალაუფლება არ ვრცელდებოდა. რუსეთმაც არაერთხელ დაადანაშაულა საქართველო ჩეჩენი მეომრებისა და არაბი ტერორისტების შეფარებაში. სამხედრო ავიაციის მიერ დაიბომბა ილტოს ხეობა, სადაც დაიღუპა მეტყევე ოტიაშვილი (ალასანია 2015). 2002 წლის 14 იანვარს შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მიერ მიღებულ ერთობლივი განცხადების მიხედვით, სამართალდამცავებმა დაიწყეს „ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გატარება ხეობაში მყოფი მძევლების გასათავისუფლებლად, ცეცხლსასროლი იარაღის ამოსაღებად და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის აღსაკვეთად“ (პანკისის ხეობა – კრიმინალური ანკლავი 2002). პანკისის ხეობის ბლოკადა 2002 წლის ბოლოსთვის დასრულდა, როდესაც ქისტებმა ქართული ჯარის დახმარებით სრულიად გაწმინდეს ხეობა ბანდებისგან. 2003 წელს ჩეჩენი მებრძოლების ჯგუფებმა, რომლებიც საქართველოში იმალებოდნენ, დატოვეს ხეობა. 2004 წელს კი სიტუაცია დაწყნარდა და უსაფრთხოება სრულად აღდგა.

შევარდნაძემ დააკანონა დემოკრატია, მაგრამ უგულვებელყო მისი პრაქტიკული საყრდენები – სამართლიანი საგადასახადო სისტემა, ადგილობრივი თვითმმართველობის დამოუკიდებლობა, კანონის უზენაესობა, თავისუფალი ეკონომიკური საქმიანობის შესაძლებლობა მოქალაქეებისთვის. სახელმწიფოს უჭირდა მისივე მიღებული კანონების შესრულება, მაგალითად აჭარაში, სადაც ასლან აბაშიძე ფეოდალური სახის ავტორიტარულ წარმონაქმნს ხელმძღვანელობდა. ეს კი დემოკრატისთვის უდიდესი პრობლემა იყო (ჯონსი 2013, 154).

დემოკრატიისადმი „ნდობის ნაპრალი“ (როგორც ლიპსეტი და შნაიდერი უწოდებენ) (Lipset, Schneider 1983) გააჩინა წარუმატებელმა საერთაშორისო ფინანსურმა დახმარებებმა, რომელთაც ხელშესახები შედეგი მოსახლეობას ვერ მისცეს. საერთაშორისო ფინანსური დახმარება ეყრდნობოდა დონორების დღის წესრიგს, რის შედეგადაც ადგილობრივი აქტივისტების პროფესიული სისტემა შეიქმნა. აქტივისტები კი, ქვეყნის გარეთ შემუშავებულ პროგრამებს მიეჯახნენ იმის ნაცვლად, რომ ფოკუსირება პროგრამების ბენეფიციარების საჭიროებებზე მოეხდინათ. საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერები შრომით არისტოკრატიად ჩამოყალიბდნენ, რომლებიც გასამრჯელოს უცხო ვალუტაში იღებდნენ და ქართველების უმრავლესობისთვის უცხო ცხოვრების სტილს მისდევდნენ. შესაბამისად ათასწლეულის დადგომისთვის ლიბერალიზმი ქართველების უმრავლესობისთვის კორუფციასთან, კრიმინალთან და გაჭირვებასთან ასოცირდებოდა. ხალხმა დაკარგა სანდოობის გრძობა დემოკრატიის სიკეთეებისადმი (ჯონსი 2013, 155).

ეკონომიკური არასტაბილურობა და სამართლებრივი პრობლემები ხელს უშლიდა მოსახლეობის ინტერესთა ჯგუფებად გაერთიანებას. შესაბამისად, გაძლიერდა კერძო პატრონაჟი, ოჯახისადმი ნდობა და ამავდროულად ბრძოლის არაკანონიერი მეთოდები. შევარდნაძის მმართველობის დროს ყოფილი პარტიული ნომენკლატურა ხელს უწყობდა ეკონომიკის მართვას სახელმწიფოს მიერ საპრივატიზაციო გარიგებებზე კონტროლის და დიდი საწარმოების მფლობელებთან ახლობლურ-კონფორმისტული ურთიერთობებით. სამთავრობო კონტრაქტები, საპრივატიზაციო ტენდერები და საგადასახადო შეთავაზებები არაფორმალური კავშირებით ფორმდებოდა (Kubicek 2004, 39-42). 1997 წელს მიღებული საგადასახადო კოდექსი მეწარმეებმა პარლამენტს შვიდი წლის განმავლობაში 75-ჯერ შეაცვლევინეს, სახელმწიფოსგან მფარველობა რომ მიეღოთ და შეღავათებით ესარგებლათ (Khaduri 2005, 27). 1996 წლის კანონით მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ, შეიქმნა ანტიმონოპოლიური სამსახური, რომელსაც თითქმის არ უმუშავია. ყველაზე წარმატებული სამეწარმეო ორგანიზაცია შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს საქართველოს მეწარმეთა კავშირი იყო. ის 1990 წელს დაარსდა და საშუალო ზომის კერძო კომპანიების ერთ-ერთი დიდი ლობისტი გახდა. 1998 წლისთვის კავშირში გაერთიანებული იყო 100-ზე მეტი ქარხნის დირექტორი და თავისი წარმომადგენლებიც ჰყავდა პარლამენტში (ჯონსი 2013, 167). კავშირი დიდ კამპანიას ეწეოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტარიფებისა და აქციზის გადასახადების წინააღმდეგ. მისი აზრით, ალკოჰოლურ სასმელებზე, თამბაქოზე და ფუფუნების საგნებზე დაწესებული გადასახადები ადგილობრივ წარმოებას საფრთხეს უქმნიდა. საბოლოოდ, მთავრობამ ადგილობრივი წარმოების ღვინოზე გადასახადი დასწია და იმპორტირებულ ლუღზე გაზარდა. 1999 წელს მეწარმეთა კავშირი იქცა პარტიად „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოდ“ და პარლამენტში 15 ადგილი მოიპოვა (1999 წლის არჩევნების შედეგებით) (ჯონსი 2013, 167). აღსანიშნავია, რომ იმ პერიოდში არც კომპეტენტური და და-

მოუკიდებელი სასამართლო არსებობდა, ხელშეკრულებების შესრულება რომ მოეთხოვა მხარეებისგან და არც ბიზნესელიტები გამოირჩეოდნენ სამართლებრივი კულტურით. არასრულფასოვანმა კანონმდებლობამ და უზარმაზარმა შავმა ბაზარმა ეკონომიკაში წესების დაცვას აზრი გამოაცალა. გადასახადების დამალვა მორალურად გამართლდა.

შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს მედიის მარეგულირებელი კანონები გაუმართავი იყო. გამსახურდიას მიღებული კანონი პრესისა და მასმედიის შესახებ, რომელიც შემდგომ წლებში შეიცვალა, უფლებამოსილებას ანიჭებდა პრეზიდენტს, რომ უცხოელი ჟურნალისტებისთვის აეკრძალა „საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგო“ ინფორმაციის გავრცელება და მოითხოვდა პრეზიდენტის პატივისცემას (მუხლი 24) (პარლამენტის ვებგვერდი). 1997 წლის კანონმა „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ და სისხლის სამართლის კოდექსის ერთ-ერთმა მუხლმა, რომელიც 2003 წელს შეიცვალა პატიმრობის ვადის გასახანგრძლივებლად 5 წლამდე, თანამდებობის პირთა შეურაცხყოფისთვის, კიდევ უფრო მტრული გახდა სამართლებრივი გარემო ჟურნალისტებისთვის. შევარდნაძემ რამდენჯერმე სცადა, გაეჩუმებინა რამდენიმე გაზეთი და ტელეკომპანია. რუსთავი 2-ში უსაფრთხოების სამსახურის შესვლა სწორედ მედიის თავისუფლების შეზღუდვას ისახავდა მიზნად. ადგილი ჰქონდა ჟურნალისტების ცემას და ფიზიკურ შეურაცხყოფას. 1995-1998 წლებში თავისუფლების ინსტიტუტს 27 ასეთი შემთხვევა აქვს აღნუსხული (გაეროს განვითარების პროგრამის ანგარიში 1998).

ნეოპატრიმონიალიზმის დახმარებით შევარდნაძე გვერდს უვლიდა პარლამენტსა და სასამართლოს. მან საბჭოთა ქსელების, ასევე მეგრელებისა და სვანების კუთხური ქსელების გამოყენებით შეინარჩუნა ფუნქციონირებადი ქვეყანა და საკუთარი ძალაუფლება. თუმცა საბოლოოდ ვერ მოახერხა მოჭარბებული პატრონაჟის გაკონტროლება. ედვარდ ბენფილდი ამ მდგომარეობას მორალის არმქონე „ოჯახობას“ უწოდებს, როდესაც სოციალური ნდობისა და ავტორიტეტული სახელმწიფოს იძულების არარსებობას, რაც ბანფილდის სიტყვებით კოლონიალიზმის გამოცდილებითაა გამოწვეული, მივყავართ პირად კონტაქტებთან და არა კანონებთან (Banfield 1958).

შევარდნაძის სახელმწიფოს კონსტიტუციის მიღების შემდეგ ქარიზმატული ლიდერი, რეგიონული ძალაუფლების ცენტრები, დაპირისპირებული ვასალები, პერიოდული შეიარაღებული ამბოხებები და პირად ლოიალობაზე დაფუძნებული კავშირები შეადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მეორე პრეზიდენტმა აღადგინა ცენტრალური მმართველობა და მიაღწია ეკონომიკის სტაბილურობას, მან კანონის უზენაესობის დამყარება ვერ შეძლო. ქვეყნის საფუძველი პატრიმონიალური სტრუქტურა იყო, მისთვის დამახასიათებელი კერძო გადანაწილებითა და განსაკუთრებული პრივილეგიებით. ეკონომიკაში კრიმინალური ქსელები ბატონობდნენ. ამავდროულად დიდი იყო შევარდნაძის ოჯახის წევრების წილიც. სახელმწიფოს მართვისას შევარდნაძე ნაცნობ კადრებს ენდობოდა. 2000 წელს ცენტრალური ხელისუფლების მაღალჩინოსანთა 41%-ს საბჭოთა პერიოდში მომსახურე თანამდებობის პირი შეადგენდა (Losaberidze, Kandelaki, Orvelashvili 2001, 165-322). მინისტრთა საბჭოს არც კოლექტიური იდენტობა გააჩნდა და არც პოლიტიკური გავლენა, ხოლო პარლამენტს ძალაუფლება ჰქონდა გამოცლილი არაარჩევითი სამხარეო გუბერნატორების და გამგებლების მიერ. მმართველი პარტია „მოქალაქეთა კავშირი“, რომელსაც პრეზიდენტი ეყრდნობოდა, 1999 წლიდან პარლამენტში 132 წევრით წარმოდგენილი იგი კვაზისახელმწიფო სტრუქტურად გადაიქცა. პარტია პრეზიდენტთან ერთად წამყვან

თანამდებობის პირებს ნიშნავდა სასამართლოში, თავდაცვის სტრუქტურებში და მედი-აშიც კი (კავკასიის მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტი 1995, 39-40). მხარს უჭერდა პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივებს, აკონტროლებდა ადგილობრივ თვითმმართველობებს და წარმართავდა საპარლამენტო საქმიანობას. „მოქალაქეთა კავშირის“ დასასრული უკავშირდება განხეთქილებას, რომელიც ახალგაზრდა რეფორმისტების მიერ იყო ინიცირებული. საბოლოოდ მათმა ბრძოლამ შედეგად 2001 წელს შევარდნაძის მთავრობის გადადგომა, ხოლო 2003 წლის ნოემბერში კი რევოლუცია მოიტანა.

1993-1994 წლებში შევარდნაძემ საკრებულო რეგიონული და საოლქო რწმუნებულე-ბითა და გამგებლებით შეცვალა, რომლებიც არჩევითი პირები არ იყვნენ. ცენტრალური ხელისუფლება ნიშნავდა ქალაქის მერებსაც. 1997 წელს, ევროპის საბჭოს მოთხოვნით, პარლამენტმა ადგილობრივ თვითმმართველობასა და მმართველობაზე კანონი მიიღო, რომლის შედეგადაც 1998 წელს საქართველოში საკრებულოს პირველი არჩევნები ჩატარდა. ახალი წესების მიხედვით, სოფლის, თემის, დაბისა და ქალაქის საკრებულოები ირჩევდნენ გამგეობას და გამგებლებს. პრეზიდენტმა შეინარჩუნა გამგებლებისა და მერების დანიშვნის უფლებამოსილება ქალაქების უმრავლესობაში, მათ შორის თბილისში, ბათუმში, რუსთავში, სოხუმში, ქუთაისსა და ცხინვალში. ამ ფაქტით საქართველოს მოსახლეობის თითქმის 70%-ს წაერთვა ადგილობრივ თვითმმართველობაში მონაწილეობის საშუალება (USAID). კანონის ბუნდოვანება, გარკვეულ გარემოებებში საკრებულოს დაშლის ან მისი გადაწყვეტილებების გაუქმების ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილება, გავლენიანი არაარჩევითი გამგებლები რაიონულ და ქალაქის დონეებზე და ფინანსური დეცენტრალიზაციის არარსებობა ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებას უშლიდა ხელს. ადგილობრივი თვითმმართველობები საბიუჯეტო ტრანსფერებზე იყვნენ დამოკიდებული. ისინი ვერც თავიანთ აღმასრულებელ ორგანოებს აკონტროლებდნენ. თვითმმართველობის რეფორმის გატარებას საქართველოში ძირს უთხრიდა ცენტრზე ფინანსური დამოკიდებულება, მმართველობის ავტორიტარული სტილი და ადგილობრივი კლანების გავლენიანი ქსელები (ჯონსი 2013, 246).

შევარდნაძის მმართველობის პერიოდში სახელმწიფოს უუნარობამ, შეეღწია საზოგადოების ცხოვრებაში, და გადასახადების ამოულებლობამ დიდი ზიანი მიაყენა მის პოტენციალს, დაეცვა თავისი მოქალაქეები ძლიერი და არაარჩეული ადგილობრივი ჯგუფებისა და მონოპოლიებისგან. თითქმის არ არსებობდა კონსენსუსი სახელმწიფოს არსზე, მის პოლიტიკურ ღირებულებებსა და ამოცანებზე. კორუფციამ და გადახდისუუნარობამ ძირი გამოუთხარა ისეთ გამამთლიანებელ ინსტიტუტს, როგორცაა ჯარი და დაასუსტა ეროვნული ბაზრისთვის საჭირო ინფრასტრუქტურები. მოსახლეობის უმრავლესობისთვის ბაზისური ეკონომიკური კეთილდღეობის არარსებობამ ზიანი მიაყენა მოქალაქეობის ღირებულებას და გააღრმავა სახელმწიფოსა და მოქალაქის ტრადიციული გათიშულობა.

ედუარდ შევარდნაძემ ვერ მოახერხა იმ უფსკრულის ამოვსება, რომელიც მმართველებსა და მართულებს შორის არსებობს. მან ვერ შეძლო ერთადერთი დომინანტური პარტიის მხარდაჭერილი უკიდურესად ძლიერი პრეზიდენტის პოლიტიკური ასიმეტრიის თავიდან არიდება. ვერ უზრუნველყო აღმასრულებლის გაკონტროლება, ძალაუფლების გადაცემა ან მოქალაქეების ჩართვა პროცესებში. შევარდნაძის აქცენტს სტაბილურობასა და საზოგადოების კონსოლიდაციაზე ქართველები გაგებით ეკიდებოდნენ, მაგრამ 1990-იანი წლების ბოლოსთვის ეკონომიკურმა რეფორმებმა მარცხი განიცადა. მისი პრეზიდენ-

ტობის უკანასკნელ წლებში ცენტრალური ხელისუფლება იმდენად დასუსტდა და გამოიფიტა კორუფციის, ინტრიგების, გაუხსნელი მკვლევლობებისა და ცარიელი ბიუჯეტის წყალობით, რომ ფაქტიურად აღარც არსებობდა. ადმინისტრაციას უნარი აღარ შესწევდა მოწესრიგებული, კარგად ორგანიზებული სახელმწიფო აეშენებინა. პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებდა მოუგვარებელი კონფლიქტები ქვეყნის ტერიტორიაზე. საბოლოოდ შევარდნაძის რეჟიმი ქართველებისთვის უფრო ნაცნობი, რევოლუციის გზით დასრულდა.

დასკვნა

დემოკრატიის ცნებამ საქართველოში მრავალი მნიშვნელობა შეიძინა. ფორმალურად დემოკრატია ლიბერალურია, რეალობაში კი, ხშირად არალიბერალური. ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს დემოკრატიის წარუმატებლობა სათავეს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობისა და უმრავლესობის მმართველობის შესახებ მეტისმეტად გამართივებული შეხედულებიდან იღებდა. შევარდნაძის დროს კი დემოკრატია კორუფციამ და არაანგარიშვალდებულმა ქსელებმა შთანთქა.

საქართველოში დემოკრატია და ადამიანის პიროვნულ თავისუფლებას საფრთხეს უფრო არსებითი სახის დაბრკოლებები უქმნიდა და არა ინსტიტუციური, მაგალითად უმუშევრობა, დანაშაული და კორუფცია. დაბრკოლება იყო დემოკრატიისთვის საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობაც, კერძოდ კი სოციალური და პოლიტიკური უფსკრული ელიტებსა და „სუბიექტებს“ შორის. პრობლემას წარმოადგენდა ასევე განვითარებული პატრონაჟის სისტემა ყოველდღიური პრობლემების მოსაგვარებლად. პირადი სივრცე სანდოდ მიიჩნეოდა, საზოგადოებრივი კი – არა.

ჩამოთვლილთაგან ვერცერთმა ლიდერმა ვერ მოახერხა ბალანსის დაცვა განსახელმწიფოებრიობასა და სახელმწიფოს მიერ შესასრულებელ ვალდებულებებს შორის. არსებობს ბევრი ჰიპოთეზა იმასთან დაკავშირებით, თუ რას მოითხოვს დემოკრატიისკენ ტრანზიციას. სეიმურ მარტის ლიპსეტი ამბობს, რომ მთავარი ეკონომიკური განვითარებაა. სამუელ ჰანტინგტონი და რონალდ ინგლეჰარტი საერთო კულტურულ მახასიათებლებს მიიჩნევენ გადამწყვეტად. ფარიდ ზაქარია და რასელ ბოვა ხაზს უსვამენ ლიბერალური რეჟიმის არსებობის გამოცდილებას. რობერტ პუტინამი აქცენტს სოციალურ კაპიტალსა და ნდობაზე აკეთებს, ხოლო ადამ პრუვეროსკი შემოსავლების თანასწორობის ზრდაზე. საქართველოს შემთხვევაში პოლიტიკურმა დაყოფამ, სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივი დროით უქონლობამ და ჩამოუყალიბებელმა, პიროვნული ერთგულების მიხედვით დაშლილმა სამოქალაქო საზოგადოებამ მიგვიყვანა სუსტ ნაციონალურ საზოგადოებამდე, რომლის გადალახვაც სრულყოფილად დღემდე ვერ მოხერხდა (ჯონსი 2013, 20).

ძალაუფლების კონცენტრირებას პრეზიდენტის ხელში ბუნებრივი საფრთხეებიც ახლავს. საქართველოს შემთხვევაში ეს სუსტი საკანონმდებლო ორგანოს, ანემიური სასამართლოსა და უძლური ადგილობრივი თვითმმართველობის მიზეზი გახდა. სისტემის გაუმჯობესება ამ შემთხვევაში პერიოდულად მასობრივი გამოსვლებით ხდებოდა. საქართველოში პრეზიდენტებს ამხობდნენ, მთავრობებს კი გადადგომას აიძულებდნენ. დემოკრატიული გამოსატვის უფლების ამ ფორმას სარისკო მდგომარეობის შექმნა, მანიპულაციებისკენ და ძალადობისკენ მიდრეკილება ახასიათებს. თუმცა საქართველოს უახლესმა

ისტორიამ აჩვენა, რომ ქართველებს შეუძლიათ იმ ხელისუფლების შეცვლა, რომელიც ხალხს შორდება და ძალას კარგავს. 1991-1992 წლებში ეს ძალით მოხდა, შევარდნაძის შემთხვევაში კი 2003 წელს – მშვიდობიანად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანგარიში უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ საქართველოში: თბილისი, ცხინვალი, გორი, მცხეთა, ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი: აშშ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის კომისია, 1990
2. გაეროს განვითარების პროგრამის ანგარიში: თბილისი. 1998. UNDP
3. გაზეთი „კომუნისტი“, 3 ნოემბერი, 1988
4. გაზეთი „კომუნისტი“, 30 მარტი, 1989
5. გაზეთი „კომუნისტი“, 27 მაისი, 1990
6. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №11, 1990
7. გამსახურდია, ზვიად. გურამ რჩეულიშვილის მოსაგონარი, წერილები, ესეები, თბილისი. ხელოვნება, 1991
8. იოსელიანი, ჯაბა. „სამი განზომილება“. თბილისი. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. 2013.
9. მჭედლიძე, გიორგი. „ისტორია უდისტანციოდ (მშფოთვარე 1988-1995 წლების ქრონიკები)“, ქუთაისი: გ. ტაბიძის სახელობის სააქციო საზოგადოება, 1999.
10. მაჭავარიანი, მუხრან. „მრავალჭირვარამგადანახადი“, თბილისი. მერანი, 1989
11. ნათაძე, ნოდარ. „რაც ვიცი: ფაქტები და ანალიზი“, თბილისი. პირველი სიტყვა. 2002
12. პანკისის ხეობა – კრიმინალური ანკლავი.
<http://www.civil.ge/geo/article.php?id=771>
13. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, №3, 1989
14. სახალხო ფრონტის პარტიული პროგრამის მიმეოგრაფი. 1992
15. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, თბილისი. 1992
16. საბჭოთა პრესის მიმდინარე დაიჯესტი CDSP 90-086, 3.05. 1990
17. საბჭოთა პრესის მიმდინარე დაიჯესტი CDSP 90-086, 4 მაისი, 1990

18. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი; საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია; ტ.1, ხმა ერისა, 1995
19. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, ბატონ ზვიად გამსახურდიას გამოსვლა; საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, ტ.1
20. საქართველოს არჩევნები, 5 ნოემბერი, 1995; პოლიტიკური პარტიები და საპრეზიდენტო კანდიდატები: კავკასიის მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტი; 1995
21. საქართველოს პარლამენტის უწყებანი. თბილისი. №6. 1992-1995
22. ფულერი ე. საქართველოს მოძრაობა დემოკრატიზაციისკენ, რომელსაც საფრთხეს უქმნის ერთიანობის არარსებობა. ანგარიში სსრკ-ს შესახებ. 1, 1989
23. შევარდნაძე, ედუარდ. ფიქრი წარსულსა და მომავალზე: მემუარები. თბილისი. ლიტერატურული პალიტრა, 2006
24. წიქარიშვილი, გიორგი. უამი ქეშმარიტი: დამარცხებული მოძრაობის ქრონიკა. თბილისი, 2003
25. ჯონსი, სტივენ. საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი; თბილისი, 2013
26. Banfield, Edward. The Moral Basis to Backward Society, Glencoe, Ill: Free Press, 1958
27. Clapham, Christopher .The World Politics: An Introduction, London and Sydney: Croom Helm, 1985, esp. Ch. 3
28. Canovan, Margaret. Populism, New York and London.
29. FBIS-SOV, 91-205, October 23rd, 1991
30. FBIS-SOV, 91-132, July 10th, 1991
31. FBIS-SOV, 91-132, July 8th, 1991
32. FBIS-SOV, 91-178, September 13th, 1991
33. FBIS-SOV, 91-181, September 18th, 1991
34. Khaduri, Nodar. Mistakes mad in conducting Economic reforms in postcommunist Georgia, Problems of Economic Transition, 2005
35. Kubicek, Paul. Organized Labor in Post-communist States: From Solidarity to Infirmary, Pittsburgh: University of Pittsburgh Press, 2004
36. Lipset Seymour Martin and Schneider, William. The Confidence Gap, New York: FreePress; 1983
37. Losaberidze, David; Kandelaki K. and Orvelashvili N. Local Government in Georgia, in Victor Popa and Igor Munteanu (eds), Developing New Rules in the Old Environment, Budapest: OSI/LGI, 2001

რევამ ქოიავა

38. Motyl, Alexander J. revolutions, nations, empires: conceptual limits and theoretical possibilities, New York: Columbia University Press, 1999
39. SSSRUSU,1991, N9
40. Tilly, Charles. Coercion, Capital and European States, AD 990-1990, Cambridge, Mass.: B. Blackwell, 1990, Chs. 1-3

ინტერვიუები

- რესპოდენტი ირაკლი ალასანია. ინტერვიუ ჩაატარა რევამ ქოიავამ. თბილისი. 2015